პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 80 (20421) ხუთშაბათი, 6 აპრილი, 1989 წელი. ფასი 3 კაპ.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

4 აპრილს მოსკოვში, კავშირების სახლში, გაიმართა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა.

შეჯამდა ტერიტორიულ, ეროვნულ-ტერიტორიულ ოლქებში და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგები. ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ვ. პ. ორლოვმა.

გამართული არჩევნების მთავარი შედეგი, აღინიშნა სხდომაზე, ის არის, რომ საბჭოთა ხალხმა მძლავრი მხარდაჭერა გაუწია გარდაქმნისათვის გაძიხნულ პარტიის პოლიტიკურ გეზს. მან უნიკალური პოლიტიკური გამოცდილება შეიძინა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ახალ ეტაპზე. საზოგადოების ცხოვრების ეკონომიკური, სოციალური და სულიერი სფეროების განახლებასთან ერთად არჩევნები — არაორდინარულობითა და მასების პოლიტიკური აქტიურობის უმაგალითო გაქანებით — ორგანულად ავსებს გარდაქმნის მთელ სახეს, წინ სწევს მას.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებმა, შეჯამა რა საარჩევნო კომისიების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრიობის უდიდესი პოლიტიკური მუშაობის შედეგი, ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რა უზარმაზარი შესაძლებლობანია გადაწყვეტილებათა, ინტერესთა მიდგომათა გამოხატვისათვის სოციალისტურ დემოკრატიაში, სახალხო ხელისუფლების საბჭოურ სისტემაში. საარჩევნო კამპანიის დროს კრიტიკული განწყობა მიზნად ისახავდა ამ გარდამტეხ ეტაპზე პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებულ გადაწყვეტას. საზოგადოებისა ყველა ფენიდან ფართო მასების გაქანებით, აქტიურობის დონით, გადასაჭრელ პრობლემათა სიმძლეითა და სირთულით, აღინიშნა სხდომაზე, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ამ კამპანიის ბადალი არა ჰქონია. საარჩევნო კამპანიამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციას, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რეგიონალური და ცენტრალური ორგანოების ურთიერთობის განმტკიცებას, აამაღლა საზოგადოებრივ ფორმირებათა ავტორიტეტი.

მხოლოდ პოლიტიკური სისტემის, რეფორმისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა დემოკრატიზაციისა [illegible] — [illegible] — [illegible] —

მ. ს. გორბაჩოვი კუბაში

(დასასრული)

დარწმუნებული ვართ, განაცხადა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ სოციალიზმის შესაძლებლობანი უსაზღვროა. მაგრამ ისინი არ ხორციელდება ავტომატურად, თავისთავად. ყოველ ისტორიულ ეტაპზე საჭიროა სინამდვილის შემოქმედებითი ხელახალი გააზრება, განვითარების დიალექტიკის გაგება, ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც შეესაბამება დროის იმპერატივებს. ამაში დარწმუნდით საკუთარი გამოცდილებით.

ჩვენმა დიდმა ქვეყანამ, მისმა გამრჯე და თავდადებულმა ხალხმა, რომელსაც წილად ხვდა სოციალისტური გზის პირველმკვალავის როლი, უდიდესი გავლენა მოახდინეს XX საუკუნეში მსოფლიო განვითარების მთელ მსვლელობაზე. ჩვენში შექმნილია მძლავრი ინდუსტრია, უდიდესია ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის პოტენციალი, ქვეყანას აქვს ისეთი ფასდაუდებელი სიმდიდრე, როგორიცაა ადამიანთა განათლების მაღალი დონე, მათი პროფესიული კვალიფიკაცია. ამის მიუხედავად, ბევრი რამ, რაც ჩვენს საზოგადოებაში შეიქმნა, სერიოზულ ცვლილებებს მოითხოვს.

როცა ამაზე ვფიქრობდით, ვამოწმებდით ჩვენს წარსულსა და აწმყოს ლენინის ორიენტირების მიხედვით, მივხვდით: ჩვენი სიძნელენი დაკავშირებულია სოციალიზმის პრინციპების დეფორმაციასთან, რომელსაც ფესვი აქვს გადგმული 30-იან წლებში, ადამიანთა უშუალო ინტერესების მნიშვნელობის, მათი ინიციატივის, თვითმოქმედების უგულებელყოფასთან, სხვაგვარად რომ ვთქვთ, ჩვენი წყობილების მთავარი ძალის — მისი ადამიანური, ჰუმანისტური პოტენციალის გამოყენების უუნარობასთან.

ცხოვრებამ ჩვენს წინაშე საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა. ან დავრჩენილიყავით ძველ, გატკეპნილ გზაზე, და მაშინ გაღრმავდებოდა უძრაობა, მოვექცეოდით ეკონომიკურ, სოციალურ, კაცმა რომ თქვას, პოლიტიკურ ჩიხში, რადგან ქვეყანას შეექმნებოდა იმის საფრთხე, რომ პროგრესს გარიყოდა. ან უნდა დავდგომოდით ძნელ, მაგრამ საზოგადოების რევოლუციური განახლების საარსებოდ საჭირო გზას, სოციალიზმისათვის მიგვენიშებინა ახალი თვისება, რაც ჰუმანიზმისა და პროგრესის უმაღლეს კრიტერიუმებს შეესაბამება. ეს არის მიზანი, ეს არის ჩვენი პარტიისა და ხალხის მიერ არჩეული გარდაქმნის გზის არსი.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, თქვა შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელმა, გარდატეხა მოხდა საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების მხრივ. იმისათვის, რომ წინ ვიაროთ, საჭიროა თანდათანობით გარდავქმნათ საერთაშორისო ურთიერთობის მთელი სისტემა, ამასთან დავეყრდნოთ ზოგადსაკაცობრიო სოლიდარობის თავისებურ ფილოსოფიას. ადამიანთა ცივილიზაცია გზაჯვარედინზეა, იგი თითქოსდა ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის. ჯერჯერობით შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, თუ როგორი იქნება მისი გარდაქმნილი სახე. მაგრამ ერთი რამ ცხადია: დღეს წარმატების იმედი იმათ შეუძლიათ იქონიონ, ვინც ფეხს უწყობს დროს, ვისაც გამოაქვს საჭირო დასკვნები ცვლილებებიან, რომლებიც დაკავშირებულია მაღალი ტექნოლოგიების ხანაში მსოფლიოს შესვლასთან, მეცნიერების, ინტელექტუალური მრომის გადამწყვეტ როლთან.

შეეხო რა რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგებას, მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უფრო ხშირად ისინი წარმოიქმნება გარედან ჩარევის, იმ წადილის შედეგად, რომ ხალხებს ხელი შეუშალონ დამოუკიდებელ არჩევანში. მან ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ ეწინააღმდეგება ყოველ თეორიასა და დოქტრინას, რომლებიც ამართლებენ რევოლუციისა თუ კონტრრევოლუციის ექსპორტს, სუვერენულ სახელმწიფოთა. საქმეებში უცხოეთის ჩარევის რომელიმე ფორმას.

ლათინური ამერიკა, ისევე როგორც ყველა სხვა კონტინენტი, არ უნდა იყოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფრონტაციის ასპარეზი, თქვა შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ტლატელოლკოს ხელშეკრულების საფუძველზე ლათინური ამერიკის უბირთვო სტატუსის განმტკიცებას, სამხრეთ ატლანტიკაში მშვიდობისა და თანამშრომლობის ზონისა და ცენტრალურ ამერიკაში, კარიბის აუზსა და წყნარი ოკეანის წყლებში, სამხრეთ ამერიკას რომ გარს აკრავს, ანალოგიური ზონების შექმნას. სსრ კავშირს, თქვა საბჭოთა ხელმძღვანელმა, არა აქვს და არც აპირებს იქონიოს ლათინურ ამერიკაში სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო თუ სარაკეტო ბაზები, განალაგოს აქ ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღი, და სხვა სახელმწიფოებს მოუწოდებს ასეთივე მიდგომით იხელმძღვანელონ.

დასასრულ საბჭოთა ხელმძღვანელმა კუბელ ხალხს უსურვა წარმატებანი რექტიფიკაციის პოლიტიკის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების, მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესების დასახული გეგმების განხორციელებაში.

ფ. კასტროს და მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის დროს ხშირად გაისმოდა ტაში.

დეპუტატებმა დაამტკიცეს სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ეროვნული ასამბლეის სესიის დამთავრების შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია, რომლის დროს მ. ს. გორბაჩოვმა და ფ. კასტრომ უპასუხეს ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას.

ს. გორბუნოვი,
ა. კანიშჩევი,
ს. სერეადა,
ვ. ტალანოვი.



მოწინავე მშრომელის სახელი აქვს ანტონ კოპაძეს, „ცხინვალმშენის“ № 11 სამშენებლო ტრესტის რკინაბეტონის კონსტრუქციათა ქარხნის ოსტატს. მისი ბრიგადის დამზადებული ნაწარმი კარგ შეფასებას იმსახურებს ავტონომიური ოლქის სამშენებლო მოედნებზე.

ახლა ანტონ კოპაძე და მისი მეგობრები გაორკეცებული ენერგიით შრომობენ. გზავნიან რა თავიანთ პროდუქციას მოძმე სომხეთში, ისინი ცდილობენ შეამცირონ მშენებლობის ვადები მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში.

სურათზე: „ცხინვალმშენის“ № 11 ტრესტის რკინაბეტონის კონსტრუქციათა ქარხნის ოსტატი, მშენებელი ანტონ კოპაძე.

საქინფორმის ფოტო.

მოვლენათა ქრონიკა

სოფლიოს ბრიგადა

საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების დარგობრივ სამინისტროთა შორის 1988 წლის შედეგების მიხედვით გამარჯვებულად სცნო და პირველი ადგილი, ფულადი პრემია და გარდამავალი წითელი დროშა მიანიჭა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს.

აღინიშნა შრომითი კოლექტივების მიერ გაწეული თავდადებული მუშაობა სტიქიის შედეგად მორალური და მატერიალური ზარალის სალიკვიდაციოდ.

ხილის ბაღებში

● **ქარელი. („კომუნისტის“ საკ. კორ).** ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა რაიონში პირველებმა დაიწყეს ხეხილის ბაღების წამლობა.

ბაღებს აქ 1254 ჰექტარი ფართობი უკავია. მექანიზატორები მერაბ ბალიევი და სიმონ ელიაშვილი დღიურ ნორმებს გადამეტებით ასრულებენ — საშუალოდ 15-16 ჰექტარ ფართობს უვლიან. ისინი სამუშაოებს მალე დასრულებენ.

ეროვნულ ენაზე — ეროვნული გზა!

● **ქარელი („კომუნისტის“ საკ. კორ.).** [illegible] ნორმ. ნარგავთა [illegible] ქარგი ტრადიცია დამკვიდრდა. გამონაკლისი არც ნლევანდელი გაზაფხულია. ყვარლის სატყეო მეურნეობისა და ბუნების დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭოს დახმარებით დაირგვება 25 ათასზე მეტი სხვადასხვა ნაყოფისმომცემი ხის და დეკორატიული ბუჩქის ნერგი.

ადგილზეევ გადაამუშავებენ

● **ქედა. (საკ. კორ.).** აჭარის მაღალმთიან რაიონებში საკმაო რაოდენობით ხილი მოდის. ტყეებშიც უხვადაა კენკრა, პანტა, მაყალო. უწინ მოსავალი ბათუმის საკონსერვო ქარხანაში ჩაჰქონდათ. დანაკარგები და ტრანსპორტის ხარჯები საკმეს ართულებდა. ამიტომ სოფელ ზვარეში შენდება საკონსერვო ქარხანა, რომლის წლიური მზარმოებლობა ხუთი მილიონი ქილა იქნება.

ქარხანას აშენებს რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭო.

ბინათმშენებლობა

ჩასახლებიდან ოთხი ათეული წლის შემდეგ ლენინის ქუჩის №8 სახლის ათობით ოჯახმა კვლავ იდღესასწაულა ახალმოსახლეობა. თითოეულ ბინაში საცხოვრებელი ფართობი ოცდაათი კვადრატული მეტრით გაიზარდა. რაც მთავარია, მთლიანად შეიცვალა შენობის გარეგნობა, ის რუსთავის ძველ უბანში ერთ-ერთი მოხდენილი, ლამაზი სახლი გახდა.

ჯერჯერობით ასეთი რამდენიმე სახლია ქალაქში, სადაც მის მობინადრეთა სახსრებით ხორციელდება მიშენება. სამუშაოებს კოოპერატივები ან სახელმწიფო ორგანიზაციები ასრულებენ, რა თქმა უნდა, მობინადრეთა სახსრებით.

სახლის დათვალიერების შემდეგ ვეხეტუმრეთ რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს თემურ დალაქიშვილს და მივმართეთ რამდენიმე კითხვით:

— როდის გაჩნდა ეს იდეა და რა მიზანს ისახავს იგი?

— როგორც ცნობილია, სკკპ XXVII ყრილობამ, XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ დასახეს ფართო სოციალური პროგრამა — ორი ათასი წლისათვის მთლიანად დავაკმაყოფილოთ მშრომელები კეთილმოწყობილი ბინებით ან კერძო სახლებით. ამასთან დაკავშირებით რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შეიმუშავა ბინათმშენებლობის კომპლექსური პროგრამა „2000“. აღნიშნულის წარმატებით განხორციელების მიზნით გადავწყვიტეთ ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში აგებულ სამ, ოთხ, ხუთსართულიანი სახლებისათვის ლოჯიებისა და აივნების მიშენება, სართულების დაშენება, გაფართოება.

მიშენება წინათაც ხორციელდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ხდებოდა არაეგალური გზებით. მცხოვრებლები კანონის ყოველგვარი დარღვევით შოულობდნენ საშენ მასალებს, მამასისხლად ქირაობდნენ ტრანსპორტს, მუშებს, ხოლო სამშენებლო ნორმებისა და წესების დაუცველობა სახლს მიაშენებდნენ ხოლმე რაღაც მახინჯ ნაგებობებს. არქიტექტურა და მშენებლობის ხარისხი ბინების მეპატრონეთა გემოვნებასა და ფინანსურ შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული. უკანონო მშენებლობათა აღსაკვეთად იძულებული ვიყავით ზოგჯერ საქმეში ჩაგვერია ადმინისტრაციული ორგანოები. ახალ პირობებში ბოლო ეღება ასეთ უგგმო, ქაოსური, ულაზათო განაშენიანებას.

— რა წესით წყვეტთ რეკონსტრუქციის საკითხებს?

— ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საცხოვრებელ სახლებზე ლოჯიების ან სხვა მიშენების, სართულების დაშენებისას საკითხები განიხილება არქიტექტურულ ქალაქგეგმარებითი მოსაზრებების, სანიტარიული ნორმების, კონსტრუქციული შესაძლებლობების, მწვანე ნარგავების შენარჩუნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამასთანავე, დაშენება-მიშენება არ დაიშვება ხუთსართულიანზე მეტ საცხოვრებელ სახლებზე ზემოაღნიშნული მიზეზებისა და სამშენებლო სამუშაოების წარმოების სირთულებების, მწვანე ნარგავების შენარჩუნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამასთანავე, დაშენება-მიშენება არ დაიშვება ხუთსართულიანზე მეტ საცხოვრებელ სახლებზე ზემოაღნიშნული მიზეზებისა და სამშენებლო სამუშაოების წარმოების სირთულიღონ ასეთ მშენებლობაში. რატომ არ უნდა შევუსრულოთ სურვილი?

ამიტომაც, საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოიჩინა ინიციატივა, ეკონომიკურად დასაბუთა ამ ღონისძიების ხელსაყრელობა, შეათანხმა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, მშენებნკთან, იუსტიციის, სანინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებთან, განსაკუთრებით დიდი დახმარება გაგვიწია ყოფილმა სახმშენმა.

ამ პირობებში სარგებელი მრავალმხრივია, სანინაო პირობებს გაიუმჯობესებს ათასზე მეტი ოჯახი, აღიკვეთება მოსახლეობის მხრივ უმართებულო გზით საშენი მასალების მოპოვება, რაც მთავარია, თვითნებური მიშენებები მერაბ ბალიევი და სიმონ ელიაშვილი დღიურ ღავალებებს გადამეტებით ასრულებენ — საშუალოდ 15-16 ჰექტარ ფართობს უვლიან. ისინი სამუშაოებს მალე დასრულებენ.

ეროვნულ ენაზე — ეროვნული გზა!

● **ყვარელი („კომუნისტის“ საკ. კორ.).** [illegible] ნორმ. ნარგავთა [illegible] ქარგი ტრადიცია დამკვიდრდა. გამონაკლისი არც ნლევანდელი გაზაფხულია. ყვარლის სატყეო მეურნეობისა და ბუნების დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭოს დახმარებით დაირგვება 25 ათასზე მეტი სხვადასხვა ნაყოფისმომცემი ხის და დეკორატიული ბუჩქის ნერგი.

ადგილზეევ გადაამუშავებენ

● **ქედა. (საკ. კორ.).** აჭარის მაღალმთიან რაიონებში საკმაო რაოდენობით ხილი მოდის. ტყეებშიც უხვადაა კენკრა, პანტა, მაყალო. უწინ მოსავალი ბათუმის საკონსერვო ქარხანაში ჩაჰქონდათ. დანაკარგები და ტრანსპორტის ხარჯები საკმეს ართულებდა. ამიტომ სოფელ ზვარეში შენდება საკონსერვო ქარხანა, რომლის წლიური მზარმოებლობა ხუთი მილიონი ქილა იქნება.

ქარხანას აშენებს რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭო.

და ემატება სართულს სართული

მოძმედებს კომპლექსური პროგრამა „ბინა-2000“

— ახლახან ქალაქში ხმა დაირხა, იყიდება მცირეგაბარიტანი, ამორტიზებული სახლებიო. სწორია თუ არა ეს?

— ეს საკითხი კარგა ხანია მზადდებოდა. სახლებიც ორმოციან-სამოცდაათიან წლებშია აგებული. მათ ამჟამად მიმდინარე ან კაპიტალური შეკეთება ესაჭიროებათ, რაც დიდ სახსრებთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. ასეთი სახლები შესყიდვის შემდეგ გადადის კერძო საკუთრებაში და მოქალაქეს შეუძლია მისი განაჩუქრება, ანდერძით დატოვება, გაყიდვა. უკვე გაიყიდა რამდენიმე ასეთი სახლი. საეკიალური კომისია მას აფასებს დღევანდელი მდგომარეობით, საერთო ღირებულებაში შედის მიწისქვეშა კომუნიკაციები (წყალს, გათბობის, კანალიზაციის სისტემა), ღობე, მწვანე ნარგავები. შესასყიდი თანხა მყიდველს ერთდროულად შეაქვს ბანკში.

— სანინაო პირობების გაუმჯობესების კიდევ რა რეზერვები გაგაჩნიათ?

— მეთორმეტე ხუთწლედში, წინა ხუთწლედთან შედარებით, ერთიორად იზრდება კოოპერატიული ბინათმშენებლობა. მთლიანად ხუთწლედში ექვსასამდე ოჯახი იზიმება ახალმოსახლეობას კოოპერატიულ სახლებში.

გარდა ამისა, საქალაქო საბჭოს აღმასკომი დიდ ყურადღებას უთმობს ინდივიდუალური მშენებლობის განვითარებას. რუსთავის შემოგარენში საკმაოდ არის გორაკები, სადაც შესაძლებელია მხოლოდ ორსართულიანი კოტეჯების მშენებლობა. მეტალურგიული, ფოლადთუჯსამსხმელო, ლითონკონსტრუქციების, ამწეშენებელი ქარხნების, „აზოტისა“ და ქიმბოჭკოს საწარმოო გაერთიანებების, მშენებლობის ტრესტის შრომითი კოლექტივების მრავალმა წევრმა უკვე მიიღო სამოსახლო ნაკვეთები და აშენებენ სახლებს. ამდენად საგრძნობლად შემცირდა ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფთა რაოდენობა. წელს და გაისად მთლიანად აშენდება 600-მდე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, დაიბეთით სახლების დამახინჯება. სახელმწიფო ბანკში დანაზოგიდან შევა სულ ცოტა 3,5 მილიონი მანეთი, ქალაქის სანინაო ფონდს შეემატება არანაკლებ ასი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მთავარი ჩვენთვის მაინც მოქალაქეთა სანინაო პირობების გაუმჯობესებაა. ამჟამად ქალაქში ბინის მიღების აღრიცხვაზეა 15 ათასამდე ოჯახი. ამ მობინადრეთა დიდი ნაწილი ახალ ბინებზე უარს იტყვის, თუ ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციები, მსხვილი საწარმო-დაწესებულებები იზრუნებენ სახლების რეკონსტრუქციისათვის. ჩვენ მარტო განაშენიანებას როდი ვითვალისწინებთ, სახლი მთლიანად კაპიტალურად შეკეთდება და გახანგრძლივდება მისი „სიცოცხლისუნარიანობა“. თუ ბინის მფლობელები მშენებლობის პროცესშიც ჩაებმებიან მისი დაჩქარების მიზნით, ამ შემთხვევაში მიშენების ღირებულებაც გაცილებით იაფი დაუჯდებათ.

თანდათანობით საქალაქო საბჭოს აღმასკომი და მისი შესაბამისი სამსახურები კიდევ უფრო დახვეწენ სახლების რეკონსტრუქციის მეთოდს. ამაში დაგვეხმარება მოსკოვის, ლენინგრადის, კრასნოდარის, კალინინის, მინსკის, ვორკუტას გამოცდილება.

გაიმართება თუ არა ოლიმპიური ასპარეზობანი ბაკურიანში?

(დასასრული)

ჯერჯერობით კი სპორთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება მხოლოდ სამთო-სათხილამურო, აგრეთვე თოვლის ტრასები მოთხილამურეთა და ბიატლონისტთა შეჯიბრებისათვის. პროექტით „ეთვალისწინებულია ოლიმპიური სოფლის აშენება, საციგაო-ბობსლეის და ბიატლონის ტრასების, სასროლეთის, საციგურაო სპორტის დახურული დარბაზის აგება, ტრამპლინების კომპლექსის განახლება. მიზანშეწონილია აშენდეს ზამთრის სასახლეც თბილისში ჰოკეისა და ფიგურული ციგურაობაში ასპარეზობის მოსაწყობად. შემდგომში ამ ძვირადღირებული ნაგებობის გამოყენება შეიძლება აგრეთვე მასობრივი სპორტის განვითარებისათვის, დიდი სანახაობითი ღონისძიებების მოწყობისათვის.

— ბაკურიანს ბევრი ღირსება აქვს, — ამბობს მ. გრამოვი. — მაგრამ, ისევე როგორც 1998 წლის ოლიმპიადის სხვა პრეტენდენტებს — სოჩს მახლობლად კრასნაია პოლიანასა და ალმა-ათაში შედეოს — აქაც ბევრი პრობლემაა. მათგან მთავარია მაძნილი საქართველოს დედაქალაქიდან. მაგრამ, ვფიქრობ, რომ არის გამოსავალი მდგომარეობიდან — „გავიყვანოთ“ საჰაერო ტრასა თბილისიდან, რომელიც ვერტმფრინავით სულ ორმოც წუთში შეიძლება დაიფაროს.

თამბირზე შესთავაზეს ამ პრობლემის გადაჭრის ისეთი ვარიანტიც, როგორიცაა ახალი ავტომაგისტრალის გაყვანა ძეგვის გავლით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გზას ბაკურიანამდე.

მთელი რიგი პრობლემების გადაჭრაში დახმარება შეუძლიათ საფრანგეთის მოწყობილობის აერთაშორისო კომპანია „ლეზ არკის“ სპეციალისტებს, რომლებიც, კონტრაქტით, ამა წლის იანვრიდან გულმოდგინედ სწავლობენ ბაკურიანის სტრუქტურას.

— საბოლოო მოსაზრებებს ჩვენს ქართველ პარტნიორებს მაისში მოვახსენებთ, — თქვა ტურისტული და მთის ზონების მშენებლობაზე დასპეცებული ფირმის კომერციულმა დირექტორმა, ჩვენმა თანამემამულემ მიშელ მელიავამ. — ბაკურიანი თავისი შესანიშნავი ბუნებრივი და კლიმატური პირობებით შემოქმედებითი საქმიანობის დიდ შესაძლებლობებს გვაძლევს. აქ არის უნიკალური მთის ფერდობები, რომელთა საერთო ფართობი 8,5 ჰექტარია. ეს კი ნიშნავს, რომ აქ შეიძლება გავიყვანოთ ათობით პირველხარისხოვანი ტრასა, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 150 კილომეტრი იქნება, ავაგოთ 35-მდე ამწე. ჩვენი დაკვირვებანი შესაძლებლობას გვაძლევს ვამტკიცოთ: ბაკურიანს დიდი მომავალი აქვს.

თუ სპორტულ ენაზე ვილაპარაკებთ, ყველაფერი ეს ჯერჯერობით წინასწარი მოსახლოა. მაგრამ გვინდა გვჯეროდეს, რომ ჩვენი მთის კეთილი ყოველდღიურად სულ უფრო მეტად შეიძენს პირველხარისხოვანი ცენტრის იერსახეს, რომელიც შეესაბამება მაღალი ოლიმპიური დონის მოთხოვნებს და პირნათლად გაუძღვება „შინაურ“ კონკურენციას და მეტოქეობასაც გაწევს საერთაშორისო ასპარეზზე.

თათბირზე გამოვიდა ჯ. ი. პატიაშვილი. მან მადლობა გადაუხადა მ. ვ. გრამოვს უყურადღებისათვის, ქართული სპორტის განვითარებაზე ზრუნვისათვის, და გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, მშრომელები ყველაფერს იღონებენ, რათა ბაკურიანი საერთაშორისო მასშტაბის სპორტულ ცენტრად გადაიქცეს. (**საქინფორმი**).

თვალსაზრისი

თანამშრომლობისა და კონტაქტების გზით

კლასობრივისა და ზოგადსაკაცობრიოს თანაფარდობა თანამედროვე მსოფლიოში

კლასობრივისა და ზოგადსაკაცობრიოს თანაფარდობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა კაცობრიობის წინაშე მას შემდეგ, რაც ადამიანებმა იწყეს სხვადასხვა სისტემებად გაყოფილი მსოფლიოს გაცნობიერება. თუმცა ჩვენ, აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან გამართულ შეხვედრაზე 1989 წლის 6 იანვარს, ახლა მაინც ვგრძნობთ, რომ „ჩამოვრჩით ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და კლასობრივი ინტერესების თანაფარდობის დიალექტიკის შეუშავებაში“. და მან მოუწოდა მეცნიერებს გაეაქტიურებინათ ამ მიმართულებით მუშაობა. საერთოდ კი — ყველა დროის ფილოსოფოსები და თეორეტიკოსები ყოველთვის საკმაოდ ღრმად სწავლობდნენ „მარადიულ“ საკაცობრიო ღირებულებებს, მაგრამ ადრე ეს უტოპიას ჰგავდა, რადგან ადამიანთა ცოდნა ბუნებისა და საზოგადოების განვითარების შესახებ ძალიან დაბალი იყო. მეცნიერების განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ადამიანთა ცოდნა სამყაროს შესახებ და, ამასთან, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისადმი სწრაფვაც. კაცობრიობის მოწინავე წარმომადგენლები კარგად გრძნობდნენ იმ საშიშროებას, რომელიც შეიძლებოდა ტექნიკის განვითარებასთან ერთად მოყოლოდა ქვეყნებსა და ხალხებს შორის წარმოშობილ ომებს. ვიქტორ ჰიუგო 1849 წელს პარიზის მსოფლიო კონგრესის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა: დადგება დღე, როდესაც... კონტინენტის ყველა ერი, არ დაკარგავთ რა თქვენს განმასხვავებელ ნიშნებს და თვისებურებებს, ყველა ჭეშიდროდ შეერთდებით რაღაც უმაღლეს ერთიანობაში და წარმოქმნით ევროპულ ძმობასო. ამას წინასწარმეტყველებდა ჰიუგო მაშინ, როდესაც მეცნიერება და ტექნიკა ჯერ კიდევ არ იყო ასული იმ დონემდე, რომ მის მიერ შექმნილ იარაღს ყოფნა-არყოფნის საფრთხე შეექმნა ადამიანთა მოდგმისათვის მთელ პლანეტაზე.

დღეს მსოფლიოში კი ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ ბირთვული ომის გაჩაღების შემთხვევაში მთელ დედამიწაზე სიცოცხლე ისპობა. ბირთვულ არსენალებში ახლა თავმოყრილია 60 ათასი მეგატონზე მეტი ფეთქებადი ნივთიერება, რომელსაც რამდენიმეჯერ შეუძლია ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის მოსპობა.

მსოფლიოს ხარჯებმა შეიარაღებაზე ყოველწლიურად ერთ ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. იხარჯება ამოდენა თანხა, მიდის გამალებული შეჯიბრება შეიარაღებაში, ახალ-ახალი იარაღი ემატება ბირთვულ არსენალებს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ადამიანთა კეთილდღეობასთან, მსოფლიო ცივილიზაციის პროგრესთან. პირიქით, მუდმივი აფეთქებების შედეგად ჭუჭყიანდება გარემომცველი სამყარო, ჰაერი, ზღვები, ოკეანეები, მატულობს სხვადასხვა ხასიათის დაავადებები.

მისაღნშნებელია ისიც, რომ ბირთვულ შეიარაღებაში შეჯიბრების შედეგად საფრთხე ექმნება არა მარტო ადამიანთა მოდგმას პლანეტაზე, არამედ თვით პლანეტის არსებობასაც. ამის შესახებ მეცნიერები საკმაოდ არგუმენტირებულად მიუთითებენ.

მეცნიერთა დიდი უმრავლესობა მიუთითებს იმის შესახებაც, რომ ბოლო წლებში ბუნების კატაკლიზმები — უჩვეულო წყალდიდობები, ხანგრძლივი გვალვები, ძლიერი ქარშხლები, რომლებიც ძალიან ხშირად თავს ატყდება პლანეტას სხვადასხვა რეგიონში და აურაცხელი უბედურება მოაქვს კაცობრიობისათვის, კლიმატის გლობალური ცვლილებების შედეგს წარმოადგენს. მეცნიერთა აზრით ახლა ბუნება დიდი გამყინვარების დროიდან ყველაზე მკვეთრ და პოტენციურად საშიშ ცვლილებების პერიოდს განიცდის.

ბოლო ერთნახევარი საუკუნის მანძილზე ადამიანის მიერ დედამიწის რესურსების უმოწყალო გამოყენების შედეგად ატმოსფერო აივსო გაზებით, რომლებიც მზის შუქსა და სითბოს დედამიწაზე შემოწოვენს საშუალებას აძლევენ, მაგრამ ხელს უშლიან მათს არეკვლას. ამის შედეგად იქმნება ეგრეთ წოდებული „სათბურის ეფექტი“, რომელიც დედამიწის საერთო ტემპერატურის მომატებას იწვევს. ეს პროცესი სამყაროსათვის კატასტროფული შედეგების საფრთხეს შეიცავს. მათი აზრით, ატმოსფეროს გათბობის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი შეიძლება გახდეს მსოფლიოს სოფლის მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემცირება, წლითიწლობით სულ უფრო საშიშ მასშტაბს მიაღწევს, თუ დროზე არ შეეჩერეთ ტემპერატურის მატება.

საგანგაშო ვარაუდები გამოთქვა სიდნეიში (ავსტრალია) გამართულ კლიმატოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეების მიერ. მზარდი დათბობის გამო პოლარული ყინულის „ქუდების“ დნობის შედეგად XXI საუკუნის მეორე მეოთხედში წყლის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს წყალი ია ინდოეთის ოკეანის მთელი რიგი კუნძულები.

მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ პლანეტაზე ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ არსებობს ორი სხვადასხვა სისტემის ქვეყნები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მას დაემატა განვითარებადი სახელმწიფოები. თითოეულ მათგანს თავისი ინტერესები, მიზნები და ამოცანები გააჩნიათ. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება ნორმალურად და სამართლიანად მივიჩნიოთ რომელიმე მათგანის ინტერესებით ხელმძღვანელობა. სოციალისტური სისტემის ქვეყნებს თავისი ინტერესები გააჩნია, ისე, როგორც კაპიტალისტურსაც. მესამე სამყაროშიც ისეთი პროცესები ხდება, რომლებმაც შეიძლება თავიდან ბოლოს დვრან შეძრან საერთაშორისო ურთიერთობათა მთელი სისტემა.

ასე რომ, ჩვენი დროის ამაკარა რეალობებს — ბირთვული იქნება იგი თუ ეკოლოგიური, სოციალურ-პოლიტიკურად წინააღმდეგობრივი მსოფლიოს არსებობა, თუ სხვა საკითხები, ჭირდება ახლებური მიდგომა, ახლებური გაზრება, რადგან თითოეული მთგანი ისეთი გლობალური საკითხების წინაშე აყენებს კაცობრიობას, რომლის გადაჭრა მხოლოდ პლანეტის გაერთიანებულ ძალთა მეშვეობით შეიძლება. ამისათვის კი საჭიროა, როგორც მ. ს. გორბაჩოვი მიუთითებს, თითოეულმა სისტემამ დაამტკიცოს, რომ შეუძლია შეეგუოს ახალ რეალობებსა და პროცესებს.

ამ მიმართულებით ინიციატივას მაინც სოციალისტური სისტემის ქვეყნები იჩენენ. საბჭოთა სახელმწიფომ, მისმა ხელმძღვანელობამ, როდესაც დაინახა, რომ არ შეიძლება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისადმი ძველი, დაშტამპული, არტახებში მოქცეული პოლიტიკით მოქმედება, შეეცადა მის შეცვლას. თუმცა, როგორც მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, ძნელი აღმოჩნდა წინანდელი აზროვნების წესის გადასინჯვა. მაგრამ, მიუთითა მან, იგი მაინც უნდა გაკეთდეს. დაიწყო ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა. შემუშავდა წინაღმდეგობრივი, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთდამოკიდებული, და აბსებითად, მთლიანად ერთიანი მსოფლიოს კონცეფცია. ამის შესახებ საკმაოდ ვრცლად ითქვა პარტიის XXVII ყრილობაზე, მომდევნო პლენუმებზე და პარტიის სხვა ფორუმებზეც. ზემოაღნიშნული კონცეფცია საფუძვლად დაედო საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას. ახლებური აზროვნების შედეგად საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ უარი თქვა იმ ზოგიერთ პოსტულატზე, რომლებიც წინათ ურყევი გვგონა. ჩვენს მეტისმეტად რთულ საუკუნეში, როდესაც თანამედროვე ცივილიზაცია კრიზისს განიცდის, განსაკუთრებული უყურადღება კლასობრივისა და ზოგადსაკაცობრიოს თანაფარდობის საკითხს ახლა მიენიჭა. მართალია, ამ საკითხს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კაცობრიობის მოწინავე წარმომადგენლები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მას მაინც დღეს მიეცა. დღემდე, მიუთითებს გორბაჩოვი თავის წიგნში „გარდაქმნა და ახლებური აზროვნება“, კლასობრივი ბრძოლა რჩებოდა საზოგადოებრივი განვითარების ღერძად, ხერხემლად. იგი კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში დღესაც ამაე მნიშვნელობას ინარჩუნებს. შესაბამისად მარქსისტულ მსოფლმხედველობაში საზოგადოებრივი აყოფიერების მთავარი საკითხების მიმართ დომინანტობდა კლასობრივი მიდგომა. „ზოგადსაკაცობრიოს ცხება განიხილებოდა როგორც ფუნქცია და საბოლოო შედეგი მუშათა კლასის — უკანასკნელი კლასის ბრძოლისა, რომელიც ათავისუფლებს რა საკუთარ თავს, ათავისუფლებს მთელ საზოგადოებასაც კლასობრივი ანტაგონიზმებისაგან“. (მ. ს. გორბაჩოვი. გარდაქმნა და ახლებური აზროვნება. თბ., 1988, გვ. 170).

ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ ახლ

სუფთა ჰაერი და წყალი

რომ გვქონდეს

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს დაცვის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსთან მურმან არდიასთან იმ დროს მივედით, როცა იგი იქვე შშენებარე თერმომეტყსართულიანი საწარმოო-ლაბორატორიული კორპუსის მდგომარეობას იხილავდა. შშენებლებს შიგა სამუშაოები ჯერ კიდევ იმდენი აქვთ დარჩენილი, რომ საეჭვოა მისი ახლო ხანში დამთავრება. სამმართველოს უფროსი შშენებლობის გაჭიანურების გამო თავის აღშფოთებას ვერ მალავდა. რამდენი უთხლესი ტექნიკა, კვლევისათვის უღირსად საჭირო და დიდი ფვალებით მოპოვებული დანადგარი და აპარატურა, შენობის უქონლობის გამო ვერ დაყმონტაჟებიათ, ლაბორატორიული საშუალებანი, რაც მათ საკავშირო მთავრობამ გამოუყო, შეიძლება ხელიდან გამოაცალონ...

საქმე ის გახლავთ, რომ ეს სამმართველო გარემოს გაჭუჭყიანებაზე დაკვირვებისა და შესწავლის თვალსაზრისით, ამიერკავკასიაში ცენტრალურ ორგანიზაციად ითვლება. აქ რეგულარულად ახდენენ დაკვირვებას ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის, შავი ზღვისა და ზედაპირული წყლების, ნალექის, თოვლის საფარის, რადიაციის დონეზე, შესწავლიან გაჭუჭყიანებული ნივთიერებების განაწილებას დროსა და სივრცეში, აფასებენ გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას — მისი სისუფთავის ხარისხს, ადგენენ ჰაერის გაჭუჭყიანების მოკლევადიან პროგნოზებს და ამ ინფორმაციას დროულად აწვდიან პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეურნეო ორგანიზაციებს და ამით, ერთგვარად, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სახალხო დოვლათის უსაფრთხოების სადარაჯოზე დგანან.

სამმართველოს მუშაობიდან ამჟამად მხოლოდ ერთ საკითხს შევეხებით: როგორია ჩვენი დედაქალაქის მდგომარეობა წყლისა და ჰაერის გაჭუჭყიანების თვალსაზრისით, რა კეთდება მისი შესწავლისა და რეალური მდგომარეობის გამოსავლინებლად (ყველასათვის ხომ ცხადია, თუ როგორ არის ჩვენი ქალაქის ატმოსფერული ჰაერი დაბინძურებული ავტომანქანების გამონაბოლქვით და როგორი ხარისხის წყალს მოვიხმართ).

როგორც სამმართველოს უფროსმა გვიამბო, დიდი საქმე გაკეთდა მდინარე მტკვრისა და თბილისის ზღვის წყლის სისუფთავის კვლევისათვის. მიმდინარეობს წყლის გაჭუჭყიანებაზე დაკვირვებისა და კონტროლის ავტომატური სისტემის დანერგვა, რაში მდგომარეობს ამ სისტემის არსი?

გთვალისწინებულია მდინარე მტკვარზე გაკეთდეს ხუთი, ხოლო თბილისის ზღვაზე ორი ავტომატიზებული სადგური, სადაც სპეციალური ხელსაწყოები ყოველდღიურად, ყოველგვარ რეჟიმში, დროის ნებისმიერ მონაკვეთში მოახდენს წყლის ქიმიური შემადგენლობის 14 მახასიათებლის ერთდროულად განსაზღვრას და მოპოვებული ინფორმაციის ავტომატურად ცენტრში გადაცემას, დამუშავებას და მაკონტროლებელი ორგანიზაციებისათვის მიწოდებას.

მდინარე მტკვარზე სადგურების ასეთი განლაგება იმით არის განპირობებული, რომ გაირკვეს, ამ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებიდან რომელმა დაარღვია რეჟიმი და წყალში არასასურველი ნივთიერება შეურია. ასეთი შემთხვევები ხომ მრავალზე მრავალია.

— ეს რაც შეეხება სისტემის მუშაობას, მაგრამ რეალურად საქმე ამჟამად როგორაა? — ვკითხეთ მ. არდიას.

— დღესდღეობით, — გვეუბნება იგი, — მდინარე მტკვარზე მოქმედებს სისტემის ორი ავტომატური სადგური — „ვახუშტი“, და „ორთაჭალაჩესი“. მალე მწყობრში შევა სადგური „ზაჰესი“, ხოლო 1991 წლისათვის მათ მიემატება ოთხი სადგური მდინარე მტკვარზე — „ფონიჭალა“ და „გაჩიანი“ და ორიც — თბილისის ზღვაზე.

მაგრამ დღეს მოქმედი თითოეული სადგური ავტონომიურად მუშაობს, ცენტრთან არ არის დაკავშირებული, რადგან, ჯერჯერობით, შენობის უქონლობის გამო, წყლის სისუფთავის განმსაზღვრელი ავტომატური ინფორმაციის დამუშავების ცენტრი არ შექმნილა, მიუხედავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განკარგულებისა ამ ცენტრის შექმნის შესახებ. მისი ამოქმედებით კი დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს სადგურებში დგას ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი წყლის სისუფთავის განმსაზღვრელი ხელსაწყოები, რომელსაც უშვებს თბილისის ანალიზსახელოვნების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება. ამ ხელსაწყოებს წარმატებით იყენებენ, აგრეთვე, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — მდინარე შპრეზე და საბჭოთა კავშირში, — მდინარე მოსკოვზე.

ახლა შევეხოთ ყველაზე აქტუალურ საკითხს. რას ვსუნთქავთ, როგორია ჩვენი დედაქალაქის ატმოსფერული ჰაერი? ამ თემაზე არაერთხელ გამოგვქვეყნებია წერილი, თუ ავტომანქანების სიმრავლის გამო ტოქსიკური გამონაბოლქვით რა კრიტიკული მდგომარეობაა შექმნილი, როგორ იწამლება ჰაერი. მაგრამ ვითარება დღითი დღე უარესდება.

საქართველოს ჰიდრომეტსამმართველოს გარემოს გაჭუჭყიანებაზე დაკვირვების ცენტრის უფროსმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ალექსანდრე სურმავამ გვითხრა, რომ უკვე კარგა ხანია თბილისის ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვებას ახდენენ ქალაქის სხვადასხვა უბანში განლაგებულ რვა სტაციონარულ საგუშაგოზე.

წინა წლებთან შედარებით თბილისის ატმოსფერულ ჰაერში მომატებულია მტვრის, გოგირდოვანი გაზის, ტყვიისა და სპილენძის შემცველობა (სამაგიეროდ იკლო ნახშირჟანგმა, აზოტის ჟანგმა და ორჟანგმა, ფენოლმა, ფორმალდეგიდმა, ლითონებიდან — ნიკელმა და ქრომმა). ეს ნივთიერებები კი საშიშია არა მარტო ადამიანისათვის, საერთოდ, ცოცხალ ბუნებას წამლავს.

როცა ამინდი მდგრადია და ქალაქი ნაკლებად ნიავდება, გაჭუჭყიანების კონცენტრაცია მატულობს. ამ დროს საწარმოებს, რომლებიც ყველაზე მეტად აჭუჭყიანებენ ატმოსფეროს, წინასწარ აფრთხილებენ მოსალოდნელი არახელსაყრელი ამინდის თაობაზე და ისინიც ვალდებულნი არიან ზომებს მიმართონ, მუშაობის რეჟიმის რეგულირებით შეამცირონ მავნე ნივთიერებების ჰაერში გამოტყორცნა. მაგრამ ეს ერთია, ეს მეორე.

დედაქალაქის ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე უფრო შემაშფოთებელ ცნობებს გვაწვდის საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ატმოსფერული ჰაერის დაცვის სპეციალიზებული რესპუბლიკური ინსპექციის უფროსი რენო ცხვიტავა. მან თავისი საუბარი სტატისტიკური მონაცემებით დაიწყო. ამჟამად თბილისის ჰაერის გაჭუჭყიანების 84 პროცენტი ავტომანქანების გამონაბოლქვზე მოდის. ოფიციალურად, თბილისში არსებული 160 000 ავტომანქანა ჰაერში 28 000 ტონაზე მეტ გამონაბოლქვს გამოჰყოფს წელიწადში, ე. ი. თითოეული მოქალაქე წელიწადში 225-230 კილოგრამზე მეტ მავნე ნივთიერებას შეისუნთქავს. და ეს იმ პირობით, თუ ავტომანქანები ტექნიკურად გამართულად მუშაობს. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ თბილისში ნახევარზე მეტი გაუმართავი ავტომანქანა და ავტობუსი დადის, და მის გეოგრაფიულ. მდებარეობასაც თუ მხედველობაში მივიღებთ, მასასადამე, თითოეული ჩვენგანი გაცილებით მეტ მავნე ნივთიერებას შეისუნთქავს, მეტად იწამლება.

— ჩვენ ვერ ავკრძალავთ, — გვეუბნება რ. ცხვიტავა, — რომ თბილისელებმა ავტომანქანები შეიძინონ და მისი სიკეთით ისარგებლონ, მაგრამ იმისათვის კი უნდა ვიბრძოლოთ, რომ ყოველ მათგანს მანქანა ტექნიკურად გამართული ჰქონდეს. აქ ბევრი რამ თვითშეგნებაზე, პიროვნების კულტურაზეა დამოკიდებული. როცა ვხედავთ, ავტომანქანა ტექნიკურად გაუმართავია, ბოლის „კუდი“ მიჰყვება და ამას მძღოლი არაფრად აგდებს, დანაშაულია! ამ მავნე გამონაბოლქვს ხომ პირველი თვითონვე შეისუნთქავს, ან მისი შვილი თუ ახლობელი. ამ საქმეში სცოდავენ ავტოინსპექციის მუშაკებიც, რომლებიც ხშირად მოძრაობის წესების სულ მცირე დარღვევისათვის მძღოლებს აჯარიმებენ, მანქანის გამონაბოლქვს კი ვერ ხედავენ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არა გვაქვს ტოქსიკურობის განმსაზღვრელი შესაფერისი საზომი ხელსაწყოები, რომლებიც მთლიანად გამოავლენს გამონაბოლქვის ყველა მავნე მინარევს. დღეს მოქმედი ხელსაწყოებით გამონაბოლქვის მხოლოდ შვიდ-რვა ელემენტს ვსაზღვრავთ, დანარჩენი, — 197 ტოქსიკური მინარევი, არ იზომება.

გამონაბოლქვის ტოქსიკურობა ბევრად არის დამოკიდებული ბენზინის ხარისხზე, არ სრულდება მთავრობის დადგენილება იმის შესახებ, რომ დედაქალაქებში და საკურორტო ადგილებზე მხოლოდ მაღალი ხარისხის ბენზინი იხმარებოდეს.

ქალაქში ატმოსფეროს ჰაერის მოწამვლაში თავისი მავნე წვლილი შეაქვს დიზელისძრავიან ავტობუსებს. ეს მანქანები ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაშიც კი უამრავ მავნე ნივთიერებას გამოჰყოფს, როცა ტექნიკურად გაუმართავია, ხომ ნუღარ იტყვით! რამდენჯერ გვინახავს, დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებში მოჯირითე შავ ჟვარტლში გახვეული იკარუსები...

დედაქალაქის ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღება ბევრად არის დამოკიდებული გზების საერთო მდგომარეობაზე. ავტოტრანსპორტის მოძრაობის სწორ ორგანიზაციაზე. მოკლე მანძილებზე არსებული გაჩერებები, გადასასვლელები, ერთი მიმართულებით მოძრავი ყველა სახის ტრანსპორტი ავტომანქანების სიჩქარის ძლიერ დაქვითვებს, გამონაბოლქვის მომატებასა და საბოლოო ჯამში — ჰაერის მოწამვლას იწვევს. ქალაქის გაბინძურებაში თავისი წვლილი საგარეუბნო და სატრანზიტო ტრანსპორტსაც შეაქვს. იქნებ ცენტრალური ავტოსადგური დიდუბის მეტროსთან გაკეთდეს, სადაც მგზავრთა დროული განტვირთვისათვის მეტად ხელსაყრელი პირობებია. მაშინ დასავლეთ საქართველოდან თბილისში შემოსული მრავალ ავტობუსს აღარ შოუზდება მთელი ქალაქის გადაკვეთა. ამით სანაპიროც შესამჩნევად განიტვირთება.

ერთი სიტყვით, სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად, ყველამ უნდა ვიზრუნოთ თბილისელთა ჯანმრთელობისათვის. ამიტომაც, პირველ რიგში, მივხედოთ როგორც საკუთარი, ისე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტექნიკურ გამართულობას, კვირაში ორჯერ ან ერთხელ მაინც უარი ვთქვათ ინდივიდუალური ავტომანქანებით სარგებლობაზე. ამ დღეებში ვიაროთ ფეხით, ვისარგებლოთ მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ვიზრუნოთ ქალაქის გამწვანებისათვის. თბილისს ხომ ძალიან აკლია ბაღები და პარკები.

ლარისა ხუბულური.

მოვლენათა ქრონიკა

თანადგომა

● **დმანისი** („კომუნისტის“ საკ. კორ.) გაიხარეს ქ. დმანისის ქართული საშუალო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა, როცა მათ აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დიდი ჯგუფი ესტუმრა.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ბიბლიოთეკის ფონდის შექმნაში, რასთვისაც სკოლას გადასცეს წიგნების პირველი პარტია — ასზე მეტი მხატვრული, პედაგოგიური, ისტორიული ლიტერატურა.

სამედიცინო მომსახურება გაუწიეს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ოჯახებს, რამდენიმე წლისათვის შეადგინეს საშეფო დახმარების პროგრამა, რომელიც სკოლის სამედიცინო აპარატურით აღჭურვასაც ითვალისწინებს.

სოფლის სამუსიკო სკოლაში

მცირე ხნის ისტორია აქვს წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სამუსიკო სკოლას. შვიდი წლის წინათ გიხსნა ის სოფლის კულტურის სასახლეში და იმთავითვე საყოველთაო ყურადღების და ზრუნვის ცენტრში მოექცა. ბევრ აქაურ ბავშვს ბუნებით აქვს მომადლებული ხელოვნებისადმი მიდრეკილება, სამუსიკო სკოლაში სწავლის მსურველიც მრავლადაა. ახლა აქ სწავლობს ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის, დიდი შირაქის, სხვა სოფლებისა და დასახლებების 130 ბავშვი. სკოლაში ჩამოყალიბებულია ფორტეპიანოს, ვიოლინოს, ქართული ხალხური საკრავების შემსწავლელი ჯგუფები.

სასიხარულოა, რომ სამუსიკო სკოლის ყოფილი მოსწავლეები ნაირა და ნანა აფციაურები, ტასიკო ჭიკაიძე ახლა ამ სკოლის პედაგოგები გახდნენ.

სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მეცხოველეობის ფერმების, საწარმოო ბრიგადების ხშირი სტუმრები არიან და პროფესიულად ასრულებენ როგორც ქართულ ხალხურ სიმღერებს, ასევე თანამედროვე და კლასიკურ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

• • •

სურათზე: სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი.

გიორგი გაგუნიას ფოტო.

ულაბიჟეთი საკდესი იუწყება 5 აპრილი

● აშშ

როგორი იქნება არჩევანი?

ნიუ-იორკი. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ამთავრებს სსრ კავშირის მიმართ თავისი პოლიტიკის შემუშავებას.

ეს გამოაცხადეს ქალაქ ჰარიმანში (ნიუ-იორკის შტატი) გამართულ საბჭოთა კავშირის საკითხთა ამერიკელი სპეციალისტების კონფერენციაზე. ასეთი ფორუმები ყოველწლიურად ეწყობა ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის შემსწავლელ წამყვან ცენტრებთან ერთად, რომლებიც მოქმედებენ კოლუმბიისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებთან. ახლანდელი კონფერენციის მონაწილეებისა და სხვა ექსპერტების თქმით, წამყვანმა სამთავრობო უწყებებმა—სახელმწიფო დეპარტამენტმა, გაჭრობის სამინისტრომ, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ და სხვ. — უკვე წარადგინეს თავიანთი პოლიტიკური რეკომენდაციები ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს განსახილველად. პოლიტიკის გადასინჯვა შეიძლება ამ კვირის დამთავრდეს.

საგარეო პოლიტიკის ამერიკელ სპეციალისტთა შორის ამჟამად არსებობს სერიოზული უთანხმოებანი სსრ კავშირთან ურთიერთობის საკითხში. ერთნი — მაგალითად, ისეთები, როგორიცაა ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული ჯონ კენედის სახელობის მართვის სკოლის ხელმძღვანელი გრეჰემ ალისონი, რომელიც რეიგანის ადმინისტრაციის დროს პენტაგონის კონსულტანტი იყო, — თვლიან სანლს მოუწოდებენ წერტილი დაუსვას „ცივი ომის“ პერიოდს. მეორენი — კერძოდ, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი — ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა [illegible] ურთიერთობაში [illegible] არ შეცვლილყოს და პრეზიდენტ [illegible] ადეკვატური [illegible] ფორმულები, რომლებიც კონფერენციაზე ჩამოაყალიბა ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსული კვლევის ცენტრის დირექტორმა ადამ ულამმა. ამ ექსპერტმა, რომელიც კონსულტაციებს აძლევდა რეიგანს, ისე ბუშს, მოითხოვა მიმართონ „ოსტატური უმოქმედობის“ პოლიტიკას.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლეს ეასპინმა განაცხადა, ამჟამად კაპიტოლიუში და თეთრი სახლი უარიყოფენ როგორც საბჭოთა კავშირთან კონფრონტაციის პოლიტიკას, ისე „ცივი ომის“ დამთავრების ოფიციალურად ცნობას და სსრ კავშირთან ურთიერთობის პრინციპულად ახალ საფუძველზე გადაყვანას.

აფრიკის ქვეყნების მოწოდება

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აფრიკის ქვეყნების ჯგუფმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე და სრულად დაიწყოს მოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნამიბიაში გარდამავალ პერიოდში დახმარების გაწევის ჯგუფმა, რათა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ ზუსტად დაიცვას ცეცხლის შეწყვეტის პირობები და შეასრულოს უშიშროების საბჭოს 435-ე რეზოლუციის ყველა დებულება — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გეგმა ნამიბიის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის. ეს ნათქვამია ჯგუფის მიერ სამშაბათს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გამოქვეყნებულ განცხადებაში.

სიიაზლე

„ლოკატორი“ —ყარაული

ნიუ-იორკი. ავტომობილის ქურდობასთან ბრძოლის ახალი საშუალება წარმოდგენა ამერიკის კონსორციუმმა „პრივენტ ე სეფტ ინტერნეშენლმა“. გატაცების საწინააღმდეგო თანამგზავრის სისტემა „ლოკატორმა“, რომელიც პირველად იყო წარმოდგენილი ამასწინანდელ ავტოსალონში ახალ ორლეანში (ლუიზიანის შტატი), მაშინვე გამოიწვია სადაზღვევო და სავაჭრო კომპანიების, აგრეთვე ავტომანქანების გამქირავებელი ფირმების დიდი ინტერესი.

„ლოკატორის“ შესაქმნელად საჭიროა რთული თანამედროვე ტექნიკა, მაგრამ თვით იდეა უღრესად მარტივია. ავტომანქანაში, ამბობს კონცერნის ვიცეპრეზიდენტი ჯონ ჯანსენი, დაფარულად იდგმება პატარა ელექტრონული შუქურა. სანამ საჭეს მიუჯდებოდეს, მძღოლი კრებს კოდს ასანთის კოლოფისოდენა სპეციალურ მოწყობილობაზე. კოდი აუკრეფავად კარის გაღების ან ძრავის ჩართვის ყოველგვარი ცდის დროს შუქურა ავტომატურად ჩაირთვება და გზავნის სიგნალს თანამგზავრზე. იქიდან შესაბამისი ინფორმაცია მაშინვე გადაიცემა ცენტრალურ სადისპეტჩერო პუნქტში, ის კი თავის მხრივ მაშინვე ატყობინებს გატაცების ცდის ამბავს შემთხვევის ადგილთან უახლოეს პოლიციის უბანს.

● ლიბანი

ორმხრივი დარტყმები გრძელდება

ბეირუთი. არტილერიისა და სარაკეტო დანადგარების მასირებული ცეცხლი დაუშინა აღმოსავლეთ ბეირუთის უბნებს მუსლიმანურმა ოპოზიციამ.

პოლიციის შეფასებით, დაახლოებით 2000 რაკეტა და ჭურვი დაეცა ლიბანის დედაქალაქის ქრისტიანთა სექტორის საცხოვრებელ უბნებს. სროლის შედეგად მსხვერპლისა და ნგრევის ზუსტი მონაცემები ჯერჯერობით მოყვანილი არ არის. ლიბანის არმიის ქვეგანყოფებმა, რომლებიც ემორჩილებიან გარდამავალი სამხედრო მთავრობის მეთაურს გენერალ მიშელ აუნს, გააუქმეს თან მიერ ცალმხრივი წესით გამოცხადებული ცეცხლის შეწყვეტა და საარტილერიო ზალპებით უპასუხეს მუსლიმანური ოპოზიციის საცეცხლე წერტებს.

ძირითადი დარტყმა მუსლიმანურმა ოპოზიციამ მიმართა ბაბდის რაიონზე, სადაც არის პრეზიდენტის სასახლე და გენერალ აუნის რეზიდენცია. როგორც ბეირუთის ერთ-ერთი რადიოსადგური იუწყება, ნგრევა ოინიშნა აგრეთვე უშუალო სიახლოვეს განლაგებულ ბეირუთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რეზიდენციასა და ბრაზილიის საელჩოს შენობაში.

როგორც ისრაელის რადიო იუწყება, აღმოსავლეთ ბეირუთის რაიონ დორაში საწვავ-საპოხი მასალების საწყობში მომხდარი აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ბუტანისა და სხვა შხამიანი ნივთიერების ნარევის ღრუბელი ვრცელდება ზღვის სანაპიროს გასწვრივ, სირიის, კვიპროსისა და ისრაელის ტერიტორიებზე. მისი სიგანე შვიდ კილომეტრს აღწევს და სიგრძე — 20 კილომეტრს.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **მადრიდი.** ამ დღეებში გიბრალტარის სრუტეში მიმდინარეობს ნატოს ნავსაწინააღმდეგო სამხედრო წვრთნა, რომლის კოდური სახელწოდებაა „ტაპონ-89“, იუწყება ეფეს საააგენტო, იმოწმებს რა ესპანეთის სამხედრო წყაროებს. ესპანეთის მიწვევით მანევრებში მონაწილეობს ნატოს წევრი ქვეყნების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პორტუგალიისა და თურქეთის დაახლოებით 40 სამხედრო ხომალდი და 20 სამხედრო-საჰაერო ქვეგანაყოფი.

● **რომი.** შაშხანების სალუტის ხმების პრეზიდენტის სასახლის ხეფე დარბაზში სამშაბათს ფიცი დაადებინეს მალტის სახელმწიფოს ახალ მეთაურს ჩენცუ ტაბონეს. იგი გახდა ხმელთაშუა ზღვაში მდებარე ამ პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოს მეოთხე პრეზიდენტი. მალტა რესპუბლიკად გამოცხადდა 1974 წელს.

● **პარაგვაი.** ტრადიციული ფესტივალი „მუსიკალური გაზაფხული“ დაიწყო საყოველთაოდ განთქმულ ჩეხოსლოვაკიის საკურორტო ცენტრში — ქალაქ ლუგანოვიცეში. ბახის, მოცარტის, მსოფლიოში ცნობილი სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებები აუდერდა დიდ სიმფონიურ კონცერტში, რომლითაც გაიხსნა ეს მუსიკალური დღესასწაული.

ფესტივალი გასტანს ორ კვირას და მასში მონაწილეობას მიიღებენ განთქმული კოლექტივები და სოლისტები.

ფოტოინფორმაცია



● ინგლისი

აქ იბეჭდებოდა „ისკრა“

კლარკენველ გრინი ლონდონის მუშათა ძველი უბნის ერთი პატარა მოედანია, სადაც ორსართულიან სახლში ამ საუკუნის დამდეგს განლაგებული იყო პროგრესული გამომცემლობის „ტვენტიეს სენჩერი პრესის“ სტამბა. აქ იბეჭდებოდა ყოველკვირეული „ვასთისი“ — დიდი ბრიტანეთის სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის (1911 წელს იგი სოციალისტურ პარტიად გარდაქმნა) ორგანო. გამომცემლობის მმართველი და ყოველკვირეულის მთავარი რედაქტორი იყო გარი კელჩი, ბრიტანეთის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. სწორედ მას მიმართა ვ. ი. ლენინმა თხოვნით დახმარებოდა არალეგალური „ისკრის“ დაბეჭდვაში, როცა მისი გამოცემა გერმანიაში შეუძლებელი გახდა, გერმანიის ოხრანკის რეპრესიების გამო, რომელიც რუსეთის მეფის მთავრობის გაძლიერებული ზეგავლენით მოქმედებდა.

ამჟამად ამ სახლში განლაგებულია საჯარო ბიბლიოთეკა, იქ დაცულია 100 ათასზე მეტი ტომი უმთავრესად პოლიტიკის, ფილოსოფიის, დიდი ბრიტანეთის მუშათა მოძრაობის ისტორიის შესახებ. ბიბლიოთეკა ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ლონდონში, არამედ მთელს დიდ ბრიტანეთში — მის არქივში არის უნიკალური დოკუმენტები და შრომები.

„ჩვენ ღრმა პატივს მივაგებთ ვ. ი. ლენინის ხსოვნას, — ამბობს მთავარი ბიბლიოთეკარის თანაშემწე ჯული ლიუსი. „ლენინის ოთახში“ ჩვენ შევიცავდეთ აღგვედგინა ის გარემო, რომელშიც მუშაობდა ოქტომბრის რევოლუციის ბელადი, თუმცა, მართალია, იმდროინდელი ორიგინალური ნივთებიდან თითქმის არაფერი შემორჩა. ამ ოთახ-მუზეუმს ბევრი მნახველი მყავს პლანეტის ყველა კუთხიდან“.

სურათზე: ამ სახლში იბეჭდებოდა „ისკრა“.

მეცნიერი, მეცნიერების პროპაგანდისტი

თვალსაჩინო მეცნიერის, სამთო მექანიკის დარგის სპეციალისტის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემის აკადემიკოსის არჩილ ამბროსის ძე ძიძიგურის ჯილდოების გრძელ ნუსხას კიდევ ერთი მიემატა. რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე მას გადაეცა ს. ი. ვავილოვის სახელობის მედალი, რომელიც 1969 წელს დააფუძნა საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმმა. საზოგადოების პირველი თავმჯდომარის სახელობის, აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის მედალი საზოგადოების ლექტორთათვის წარჩინების უმაღლესი ნიშანია.

ხანგრძლივი წლების მანძილზე ხელმძღვანელობს არჩილ ძიძიგური რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის“ სამეცნიერო-მეთოდიკურ სექციას. მრავალი წლის მანძილზე იგი აქტიურად უწევს პრაპაგანდას მეცნიერულ ცოდნას, ამზადებს ახალგაზრდა კადრებს.

(საქინფორმი).

„პარტიული სიტყვა“ № 6

ჟურნალი იხსნება 1989 წლის თებერვალში კიევისა და კიევის ოლქის შრომელებთან შეხვედრის დროს მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლების ნაწყვეტების პუბლიკაციით.

„ყოველთვის იმას ვამბობთ და ვწერთ, რაც საჭიროა?“ — ასე ეწოდება პროფესორ გრიგოლ რეგბაძის სტატიას, რომელიც სვამს თანამედროვე ეპოქის ღირსეული მშობელი ხალხის ისტორიის შექმნის საკითხს. მშრომელთა ეკონომიკურ და იდეოლოგიურ სწავლებაზე გვესაუბრება თავის კორესპონდენციაში „ცხოვრებას ვერ მოვწყდებით“ თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე მაყვალა ფხაკაძე.

საჭიროა ფასწარმომქმნის სისტემის რადიკალური გარდაქმნა, ასე ფიქრობს ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ჩხეიძაძე. თავის აზრებს იგი გვიზიარებს სტატიაში „ისევ და ისევ ფასებზე...“

ჟურნალი გვთავაზობს თემას იდეოლოგიური სემინარის მსმენელებისათვის — „როგორ დაგიცავთ თავი ბიუროკრატიისაგან?“. ნომერში დაბეჭდილია მასალები საერთაშორისო, სამედიცინო და სხვა თემებზე.

სურათზე: ამ სახლში იბეჭდებოდა „ისკრა“.

ომები ქმნიან სოციალურ უკმაყოფილებათა დიდ მასას, რევოლუციურ სიტუაციას და სხვა ისეთ მდგომარეობას, რომელიც რევოლუციური მოვლენების გაშლაგაფართოებას ხელს უწყობს, მაგრამ დღეს თქმა იმისა, რომ თუ მესამე მსოფლიო ომი გაჩაღდა, მასში საბოლოო სამარეს ჰპოვებს იმპერიალიზმი, მცდარია. ასეთი აზრი საკმაოდ დიდხანს გავრცელებული იყო ჩვენთანაც. ამიტომ იყო, რომ პარტიის XXVII ყრილობაზე ჩვენ ერთიმეორისაგან მტკიცედ გამოვაცალკევეთ რევოლუციის თემა და ომის თემა, ამოვიღეთ პარტიის პროგრამის ახალი რედაქციიდან შემდეგი ორი ფრაზა: „იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტური აგრესორები მაინც გაბედავენ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას, ხალხები აღარ მოითმენენ წყობილებას, რომელიც მათ თავს ატეხს გამაჩანაგებელ ომებს. ისინი აღგვიან და დასამარებენ იმპერიალიზმს“. ძველი პროგრამის ეს დებულება, რომელიც უშვებდა ახალი მსოფლიო ომის თეორიულ შესაძლებლობას ბირთვულ ეპოქაში, აღარ შეესაბამება რეალურ სინამდვილეს. დღეს ომი კატასტროფას უქადის ორივე პოლიტიკური სისტემის ქვეყნებს, ხალხებს, მსოფლიო ცივილიზაციას საერთოდ.

თანამედროვე ეტაპზე ძველებური მიდგომა მსოფლიო მოვლენებისადმი მცდარია. მართალია, დღევანდელი მსოფლიო წინააღმდეგობრივია, მასში შემავალი სამი სამყაროს ქვეყნების სოციალური და პოლიტიკური წყობის თვალსაზრისით, მაგრამ იგი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია. „დღეს ალბათ, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაკეთებულ მოხსენებაში, — შეუძლებელია კია რადაც „დახურულ“ საზოგადოებათა შენარჩუნება“. მსოფლიო მეურნეობა ხდება ერთიანი ორგანიზმი, ურომლისოდაც ალბათ ვერ განვითარდება ვერც ერთი სახელმწიფო, რომელ საზოგადოებრივ სისტემასაც არ უნდა ეკუთვნოდეს და ეკონომიკური განვითარებით რა დონეზეც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. რა თქმა უნდა, ეს დღის წესრიგში აყენებს მსოფლიო მეურნეობის ფუნქციონირების პრინციპულად ახალი მექანიზმის, შრომის საერთაშორისო დანაწილების სრულიად ახალი სტრუქტურის შემუშავებას.

რეგიონალური მასშტაბით ასეთი მეურნეობრივი ეკონომიკური გაერთიანებები მსოფლიოში ბევრია, განსაკუთრებით ამ მხრივ აღსანიშნავია ევროპა. ევროპაში არსებობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების გაერთიანება და ევროპის ეკონომიკური გაერთიანება. მაგრამ როგორც ეტყობა, ასეთი რეგიონალური გაერთიანებები საქმეს არ შველის. საჭიროა შეიქმნას უფრო მსხვილი მასშტაბის გაერთიანება, რომელიც უფრო კარგად მოუვლის როგორც ეკონომიკურ და პოლიტიკურ, ასევე ეკოლოგიურ, კულტურულ, სამეცნიერო თუ სხვა საკითხებს. ამ მიზნით მ. ს. გორბაჩოვმა წამოაყენა „საერთოევროპული სახლის“ შექმნის იდეა. საფრანგეთის პრეზიდენტმა მიტერანმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა კოლმა, იტალიის მთავრობის თავმჯდომარემ დე მიტმა და სხვებმა მოიწონეს მ. ს. გორბაჩოვის ეს წინადადება. პრეზიდენტმა მიტერანმა მოსკოვში საბჭოთა მთავრობის წევრებთან 1988 წ. ნოემბრის შეხვედრის დროს ასე მიმართა მ. ს. გორბაჩოვს: „თქვენ, წამოაყენეთ საერთოევროპული სახლის იდეა. შესანიშნავი ფორმულირებაა. მაგრამ მისი განხორციელება შეიძლება მხოლოდ კონტაქტების, გაცვლის ზრდის, თანამშრომლობის პოტენციალის განვითარების შედეგად და რა თქმა უნდა, სამქმ

კონტაქტები

● **ინტენსიური მოძრაობა სსრ კავშირ-თურქეთის ავტომაგისტრალზე. შარშან ზაფხულში სარფის საკონტროლო-გასაშვებმა პუნქტმა ორივე მიმართულებით გაატარა ათას სუთასამდე კაცი და ორასზე მეტი ავტომანქანა. წლეულს უკვე შემოვიდა 28 სატვირთო და 18 მსუბუქი ავტომანქანა, 2 ავტობუსი, 200-მდე კაცი.**

სარფის კარით

სტუმართა შორის იყვნენ ბორჩხელი და სტამბულელი ბიზნესმენები ნაზომ აიფალოღლუ და შუკრი აიდინი, წარმომობით ქართველები, ბაიძეები. ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ტერიტორიული დარგთაშორისო გაერთიანების უფროსთან ანზორ გოგიტიძესთან ერთად მათ ხელი მოაწერეს სასაზღვრო გაცვლის ფარგლებში ურთიერთხელსაყრელი „ეკონომიკური და სავაჭრო კავშირის განვითარების ოქმს. იგი ითვალისწინებს ბათუმში ინერტული მასალების, მოსაპირკეთებელი და მოსაკირწყლი ქვის, კრამიტის, აგურისა და სანტექნიკურ მოწყობილობათა მწარმოებელი ერთობლივი საწარმოს შექმნას, სამოქალაქო, კომუნალური და ტურისტული ობიექტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას, საქონლის უფასოდ შენახვისათვის სამაყო საწყობების აგებას, ტურისტთა გაცვლას, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემებით თურქეთის ფირმების ტვირთის სხვა ქვეყნებში გადაზიდვას, ბათუმური ელექტროკარეტების, ტრანსფორმატორების, სამზარეულო გარნიტურების თურქეთის ბაზარზე რეალიზაციას.

— დიდად მოხარული ვართ, რომ ჩვენი წინაპრების სამშობლოში ჩამოვედით. სიამაყით აღვივსეთ ბათუმის, ქობულეთის, ზანსაკუთრებით, თბილისის დათვალიერებისას. დიდებული ქვეყანაა საქართველო! ბედნიერი ვიქნებით, თუ ჩვენს წვლილს შევიტანთ მის აყვავებაში. ეს ის შემთხვევაა, როცა მოგება ჩვენთვის სულაც არ არის მთავარი, — თქვეს გამგზავრების წინ შუქრი აიდინმა და ნაზიმ აიფალაღლუმ.

10 მარტს ბათუმს ეწვია ტურისტთა პირველი ჯგუფი თურქეთიდან.

ეს ორდღიანი მოგზაურობა, „ინტურისტთან“ შეთანხმებით, მოაწყო ტრაბზონის ტურისტულმა ფირმამ, რომელსაც „სარფტური“ ეწოდა. იგი სტამბულის შანვერ აკინის (შალვა თევზაძის) ცნობილ ფირმა „შანვერ-თურიზმთან“ ერთად მოაწყობს თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა საქართველოში მოგზაურობას.

ფირმა „სარფტურის“ მფლობელმა რფათ გიუნეიმ გვითხრა:

— საქართველოში მოგზაურობის ძალზე ბევრი მსურველი გვყავს. მაგრამ, ვფიქრობ, უნდა გაიოლდეს ვიზების გაფორმების ფორმალური მხარე, მას მეტად დიდი დრო მიაქვს.

ალთაი ეიბოღლუ ტრაბზონში ქვაფენილების მწარმოებელია.

— თურქეთის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე ქვაფენილი ჩემი დაგებულია. მსურს ბათუმშიც დავაგო, თუნდაც უფასოდ! — თქვა მან.

— თურქეთიდან ტურისტად შემოსული, პირველი ქალი ვარ, — დაუმატა მისმა მეუღლემ ულფიეთ ეიბოღლუ, — თავს ბედნიერად ვგრძნობ. ადგილობრივი მცხოვრებლები, აქაური ხალხი ძალიან მომეწონა. ყველას სიკეთეს ვუსურვებ!

გაუმართავად, მაგრამ მაინც ქართულად გველაპარაკა ბორჩხელი კომერსანტი ისმეთ ეჯდეროღლუ:

— ლაზი ვარ, ჩემი ნენეი ქართველია. გურჯები იქით ბევრი ვართ. მოვედი, ჯნახეთ, დიდი მემწენი (შეყვარებული) გავხდი. მიყვარან ყველაი. ისე უნდა იქნას, რომ მეტი ძმლო ვიყოთ, მივდეთ ნა, მოვდეთ ნა. გენაცვალეთ, თქვენ, გიყურბანეთ!

ფაბრიკანტებმა, კომერსანტებმა, მშენებლებმა, მედიკოსებმა სურვილი გამოთქვეს ჩვენს საწარმოებთან, დაწესებულებებთან დაამყარონ საქმიანი ურთიერთობები.

ფირმების „აიდასის“ და „სიმიტამის“ მფლობელები ქემალ დემირჯიოღლუ და მესუდ იალჩინ გიუზელი მიიღო ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ როსტომ დოლიძემ. მეზობელი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა შემოგვთავაზეს ბათუმში სამრეწველო და სავაჭრო ობიექტების მშენებლობა, ერთობლივი საწარმოების შექმნა.

საქართველოს, და თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობის სანაპირო და სასაზღვრო ვაჭრობის რეალური გზები უკვე გამოკვეთილია.

ანზორ ზამბახიძე.

მიზანი ერთია

დღეს იწყება პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობა ფეხბურთში. შეჯიბრებაში ჩაებმება 22 გუნდი, მათ შორის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები, რესპუბლიკის 8 კოლექტივი. პირველ ტურში ქუთაისის „ტორპედო“ კიშინიოვის „ნისტრუს“ უმასპინძლებს, ბათუმის „დინამო“ — ვორონეჟის „ფაკელს“, ლანჩხუთის „გურია“ კი სტუმრად ითამაშებს ტაშკენტის „ფახთაქორთან“.

დღეს სწორედ „გურიაზე“ გთავაზობთ წერილს, უახლოეს ნომრებში კი ქუთაისელ და ბათუმელ ფეხბურთელებზე მოგითხრობთ.

მკითხველს, რა თქმა უნდა, ახსოვს შარშანდელი პირველობის ფინიში: „გურია“ პირველ ლიგაში დარჩა. ცდა არ დაუკლია, მაგრამ მეტის გაკეთება ვეღარ შეძლო. ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, თავს ზვეთ ძალა არ არისო. დღეს „გურია“ ძალას იკრებს და ახალ სეზონს ძველი მიზნებით ეგებება. გუნდის ქომაგებიც, რასაკვირველია, უმაღლესში გადასვლაზე ოცნებობენ. სხვაგვარად არც იქნება: გულშემატკივარს ოპტიმიზმის უფლებას ვერ წაართმევ. „გურიას“ კი, მოგეხსენებათ, „თავზეხელაღებული“ გულშემატკივარი ჰყავს. „გურიის“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტმა ამირან წილოსანმა მითხრა: „ლანჩხუთში ფეხბურთის საქმეებს გულშემატკივრები მართავენ და არა კლუბის ხელმძღვანელობა. აბა, რამე შეგეშალოს? ათი-ათასი კაცი მოგადგება სტადიონზე. შარშან, სეზონის მიწურულს „კოტაიკთან“ პრინციპული თამაში წავაგეთ და მეორე დღეს სტადიონზე „სასამართლო პროცესი მოეწყო. ერთი დაკა-დაკა იყო, დაუფარავად, პირდაპირ ითქვა სიმართლე. ასეთ ვითარებაში კლუბში მუშაობა ადვილიც არის და... ძნელიც — უზარზამარი პასუხისმგებლობა გვაკისრია“.

ამირან წილოსანი კლუბს შარშან, აპრილში ჩაუდგა სათავეში — მისი შექმნის პირველივე დღიდან. ლანჩხუთელებმა სხვებზე ადრე აუღეს ალღო ქვეყნის საფეხბურთო მეურნეობაში მომხდარ ცვლილებებს. რესპუბლიკაში პირველი დამოუკიდებელი სამეურნეოანგარიშიანი კლუბი სწორედ აქ შეიქმნა: „ძალიან გამოგვადგა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ გამოცდილება, თუმცა, ჩვენი პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, გარკვეული კორექტივები შევიტანეთ კლუბის დებულებაში. ყველა საკითხი, შემიძლია თამამად გითხრათ, დემოკრატიულად წყდება. კლუბის გამგებლობაშია ცენტრალური სტადიონი, გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზა, საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში მოასპარეზე გრიგოლეთის გუნდი „გურია-II“, საცურაო აუზი. ფინანსური თვალსაზრისით ჯერჯერობით არაფერი გვიჭირს — შარშანდელმა წლიურმა შემოსავალმა მილიონ 60 ათასი მანეთი შეადგინა. როგორც სხვაგან, შემოსავლის ძირითადი წყაროა მატჩებზე დასასწრები ბილეთები. ინდივიდუალური და კოლექტიური საწევრო შენატანები, ლატარია (ამ საქმეში, უნდა ითქვას, ხელი გვეშლება: დროულად არ გვიგზავნიან ნივთმოგებებს. მაგალითად, შარშან გათამაშებული სამი მოტოციკლი დღემდე ვერ გაგვიცია). რესპუბლიკის ფეხბურთის გულშემატკივრებს, ალბათ, აინტერესებთ ჩვენი კლუბის ანგარიშის ნომერი: 38802, ლანჩხუთის აგრომრეწვბანკი“.

ახალი სეზონისათვის ლანჩხუთელებმა დროულად დაიპრეს თადარიგი. გარემონდა ცენტრალური სტადიონი, სათადარიგო მინდორი, გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზა, კეთილმოეწყო სტადიონის ტერიტორია. მალე სტადიონზე განიხსნება „გურიის“ საფეხბურთო კლუბის მუზეუმი, მოეწყობა კაფე, აპირებენ საინფორმაციო ბიულეტენების გამოშვებას. აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი საინტერესო თაოსნობაც: 1988 წლის ივლისიდან კლუბთან მუშაობას შეუდგა ფიზკულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი ავთანდილ ციბაძე: „უნივერსიტეტის პირველი მეცადინეობა შარშან სექტემბერში ჩატარდა, „გურიისა“ და დუშანბეს „პამირის“ მატჩის დღეს. ლექციის შემდეგ გულშემატკივრებთან ერთდროული თამაშის სეანსი გამართა ნონა გაფრინდაშვილმა. უკვე ხუთი მეცადინეობა გვქონდა. ლანჩხუთელები ხალისით მონაწილეობენ უნივერსიტეტის მუშაობაში. ვფიქრობთ, ჩვენს მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში“.

ახალი სეზონისადმი მიძღვნილი მეცადინეობა ლანჩხუთში ჩვენს სტუმრობას დაემთხვა. მსმენელები კულტურის სახლში შეიკრიბნენ, მართალია, საუბრის ძირითადი თემა ოლიმპიური მოძრაობის ისტორიის საკითხები იყო, მაგრამ ცხადია, არც ფეხბურთისათვის აუვლიათ გვერდი. აზრთა სახელდახელო გაცვლა-გამოცვლისას, გულშემატკივრები ჩვენი ფეხბურთის არაერთ მტკივნეულ პრობლემას შეეხნენ. ხაზი გაესვა რესპუბლიკაში ფეხბურთის საქმეების მართვის ერთიანი სისტემის შექმნის აუცილებლობას. სიმართლე უნდა ითქვას: ასეთი სისტემის არსებობა დღემდე არ იგრძნობა და ამის გამოა, რომ ჩვენი ფეხბურთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები ხანდახან ტენდენციურად, ნაჩქარევად, საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად წყდება. მაგალითად, ბევრ მითქმა-მოთქმას იწვევს ფეხბურთელების საეჭვო „მოგზაურობა“ ერთი გუნდიდან მეორეში, სეზონებშუა პერიოდში გაჩაღებული „ნადირობა“ კონფლიქტით მთავრდება ხოლმე. ნებისმიერი გუნდი, ცხადია, ცდილობს პერსპექტიული ფეხბურთელი მოიწვიოს, მაგრამ ამ დროს ზოგჯერ აკრძალულ ხერხებსაც არ ერიდება. სხვათა შორის, ამ მხრივ გამოხაკლისი არც ლანჩხუთის „გურია“ გახლავთ. ერთმა აქაურმა გულშემატკივარმა ალაფად თქვა: „როცა უმაღლეს ლიგაში გადავედით, ჩვენს გუნდში სულ რამდენიმე ლანჩხუთელი ფეხბურთელი თამაშობდა. უმაღლესი ლიგა, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ რეზერვის აღზრდაზეც ხომ უნდა იფიქროს ვიღაცამ. უძლიერესთა შორის იმატობაც ვერ შევინარჩუნეთ ადგილი, რომ საფუძველი არ გვქონდა გამაგრებული. ერთ მომენტზეც მინდა ყურადღების გამახვილება: თბილისის „დინამო“ ქართველი ხალხის სათაყვანებელი გუნდია და რესპუბლიკის საუკეთესო ძალები, რა თქმა უნდა, აქ უნდა იყრიდეს თავს. თუ თბილისის „დინამო“ წელგამართული იქნება, დანარჩენ გუნდებსაც ეშველებათ. დაშურწყუნეთ, ჩვენ გვეამაყება, როცა, ვთქვათ, რომელმე ლანჩხუთელ ფეხბურთელს „დინამოში“ იწვევენ, ოღონდ, სწორად გაგვიგეთ, სათადარიგოთა სკამისთვის არავინ გვიმტება. ფეხბურთელთა გაცვლისას მეტი დაფიქრება და წინდახედულება გმართებს“.

ამ სიტყვების ავტორმა და სხვებმაც რამდენიმე კონკრეტული მაგალითიც მოიყვანეს, ქუთაისის „ტორპედოს“ ამბებიც გაიხსენეს, საკამათო მართლაც ბევრია, მაგრამ საუბარი შორს წაგვიყვანს. ერთ, ჩვენი აზრით, მთავარ კითხვას (რომელსაც ლანჩხუთში, ქუთაისსა თუ ბათუმში, გასაგები მიზეზების გამო, არავინ არ დასუნ ნოგეირასის (კუბა) პარტია გადაიდო. ლიდერთა ჯგუფში არიან პიარტარსონი, პიუბნერი, სალოვი და სეირავანი — 8-8 ქულა.

● **ჩოგბურთი.** აშშ-ს ქალაქ ჰილტონ ჰედში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა დიდი სერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. პირველ წრეში თბილისელმა ლეილა მესხმა ანგარიშით 6:2, 6:1 დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი რეგინა მარშიკოვა, მინსკელმა ნატალია ზვერევამ კი მოუგო ამერიკელ ენდი უაიტს — 6:1, 6:2.

● **ფეხბურთი.** უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტურში ფრედ (0:0) დამთავრდა მოსკოვის „სპარტაკისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ შეხვედრა. გუშინ გაიმართა ამ ტურის კიდევ ერთი მატჩი.

● **კალათბურთი.** გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები: კუნასის „ჟალგირისი“ — რიგის ვეფი — 122:97 (59:42), ვილნიუსის „სტატიბა“— ცსკა — 48:70 (17:32), ალმა-ათა-ის აბკ — მოსკოვის „დინამო“— 113:95 (57:52), ტალინის „კალევი“ — მინსკის რტი — 83:84 (43:42).

თბილისის დინამოელებმა საკუთარ მოედანზე ანგარიშით 104:91 (62:45) დაამარცხეს დონეცკის „შახტიორი“.

გუშინ ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ისევ თბილისელებმა გაიმარჯვეს — 102:95.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

სოხუმი (საქინფორმი). აქ გაიმართა აფხაზეთის ასსრ აქტივის სამუშაო თათბირი, რომელმაც განიხილა ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი. როგორც აღინიშნა, შექმნილი სიტუაცია მოითხოვს, რომ პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მტკიცე ღონისძიებანი განახორციელონ და რადიკალურად გააძლიერონ იდეოლოგიური და ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ანჩაბაძე.

(საქინფორმი).

მიმართვა აფხაზეთის ასსრ ყველა მოქალაქეს

(„კომუნისტის“ საკ. კორ. ტელეფონით). 5 აპრილს საოლქო კაზეთებში „აფსნი ყაფშაში“, „საბჭოთა აფხაზეთსა“ და „სოვეტსკაია აფხაზიაში“ გამოქვეყნდა აფხაზეთის ცნობილი ადამიანების — მეცნიერების, მწერლების, ხელოვნების და კულტურის მუშაკთა, მშრომელების მიმართვა ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მოქალაქისადმი. მიმართვას ხელს აწერენ: ბივი აიბა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ბაკიბეი აიბა — გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი; ვლადიზლავ არძინბა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი; ალეკო გვარამია — აფხაზეთის ა. ს. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; დავით გოგობერიშვილი — გუდაუთის რაიონის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; მოგელი ზუხბაია — გალის რაიონის სოფელ ოქუზის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; ვალვა ინალ-იფა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; ბორის ლაკინი — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; მიხეილ მურატოვი — 1918 წლიდან სკკპ წევრი; რევაზ სალუქვაძე — სოხუმის აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი; ნიკიფორე უსოვი — დოსაფის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი; შარაფ ფაჩალია — აფხაზეთის ს. ჯანბას სახელობის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი; სტეპრო ფეიფანიდი — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი, „აფხაზეთი“ № 6 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი; ნაპოლეონ ძარქაშაძე — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; ბაბრატ შინაძუბა — აფხაზეთის სახალხო პოეტი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი; ქაჯუნი ჩოლოკიანი — გულრიფშის რაიონის სოფელ უშაპის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი; ოთარ ბურლული — პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია: „აფხაზები და ქართველები ყოველთვის ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ერთმანეთის მხარდამხარ, ყოველთვის უზიარებდნენ და უზიარებენ ერთმანეთს ლხინსა და ჭირს, ერთად ხვდებოდნენ და ხვდებიან ისინი კეთილ სტუმრებს, ერთად იცავდნენ თავიანთ მიწასა და დამოუკიდებლობას. მაშ, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ჩვენი მოწოდება რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს, შეიცვალოს ცოცხალი შინაარსით, რომ ჩვენი შვილები მადლიერების გრძნობით ახსენებდნენ თავიანთ მამებსა და უფროს ძმებს, რომლებმაც ძნელ დროს გამონახეს ჩიხიდან გამოსავალი და შეინარჩუნეს ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი — ხალხთა ერთიანობა, მშვიდობა და მეგობრობა ჩვენს მიწაზე...

ჩვენ ყველანი შეშფოთებული ვართ მიმდინარე მოვლენებით, ვგმობთ ცალკეულ პირთა დანაშაულებრივ თავშეუკავებლობას. დღეს მთავარია დავამშვიდოთ ადამიანები, უზრუნველვყოთ დისციპლინა, მართლწესრიგი, ბოლო მოვუღოთ კონფრონტაციას, რომელიც ეწინააღმდეგება გარდაქმნის, სსრ კავშირში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარების, ქვეყნის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსის გაფართოების საფუძველზე პოლიტიკური რეფორმების განხორციელებისათვის პარტიის კურსს“.

ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ „ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲨᲘ“

ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალგაზრდულ-ექსპერიმენტულ გაერთიანება „დებიუტში“ შექმნილი მხატვრული ფილმის მაყურებელთა შორის დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს.

ამ დღეებში შემოქმედებითი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს დამდგმელი რეჟისორი დათო ქვარცხავა, იღებს ახალ მხატვრულ ფილმს „ეტლი გზაზე“. სცენარი დაწერეს ირაკლი სამსონაძემ და დათო ქვარცხავამ, დამდგმელი მხატვარია გია ფიცხელაური, დამდგმელი ოპერატორი — გია კუსრაშვილი.

სურათებზე: მკვლელის როლშია თენგიზ არჩვაძე, ჩინოვნიკისა იური ვასაძე; დამდგმელი რეჟისორი დათო ქვარცხავა, დამდგმელი ოპერატორი გია კუსრაშვილი და რეჟისორი ხუტა გოგოლაძე გადასაღებ მოედანზე; პოპულარული კინომსახიობი თენგიზ არჩვაძე.

(საქინფორმის ფოტო.).

დანაშაულის კვალდაკვალ

● **გალის** რაიონის მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საერთო საცხოვრებელში, სამ მდგმურს ჩხუბი მოუვიდათ, რის შედეგადაც იდრის მუცელი მოკლეს. მკვლელობაში ეჭვმიტანილები ჯეტალ რასულოვი და ნიკოლოზ ჩერნიაკოვი მიიმალნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ნ. ჩერნიაკოვი დააპატიმრეს.

● **თბილისში** თოფურიძის № 33-ის ეზოში ამავე სახლში მცხოვრებმა ჯონი მოწონელიძემ ჩხუბის დროს გულში დანა ჩასცა თავის სიძეს ლევან მაღრაძეს, რომელიც საავადმყოფოში მოყვანისთანავე გარდაიცვალა.

● **თბილისში** ართვინის № 18-ში პენსიონერ ელენე შახნაზაროვის ბინაში ფილის შვიდ საათზე მოტყუებით შევიდა დანით შეიარაღებული ორი ბოროტმოქმედი, მათ სცემეს პენსიონერ დიასახლისს და ცდილობდნენ ბინის გაქურდვას. ამ სასლის სამართლის საქმეში ეჭვმიტანილი არიან თბილისელები, გლდანის მასივის მეორე მიკრორაიონის 64-ე კორპუსში მცხოვრები ჯემალ ნაგროზოვი და გორკის 24-ში მცხოვრები იბრაგიმ ჩოჩიევი.

● **თბილისში** ღამის ორ საათზე № 5 აფთიაქის სარდაფი შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვატყობინებენ

ბოროტმოქმედმა შეაღწია და აფთიაქში შეიპარა, საიდანაც მოიპარა სხვადასხვა მედიკამენტები. ქურდობაში ეჭვმიტანილია თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მეშვიდე კვარტალში მცხოვრები დავით კუპავა.

● **ზუგდიდის** რაიონის ახალი სოფლის სამრეწველო მაღაზიის ქურდებმა ღამის სამ საათზე სახურავი ახადეს და ჩაძვრნენ. ამ სისხლის სამართლის საქმეში ეჭვმიტანილი არიან უმუშევრები: ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხაოში მცხოვრები რობერტ დარსალია და ჯვარხეში სტალინის № 19-ში მცხოვრები კახი ფიფია.

● **საქართველოს** სსრ ფუნდამენტმშენის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მწარმოებელი მურმან ჯობავი ეეჭვმიტანილია, რომ სამუშაოების განწესებაში 186 000 მანეთი წაუმატა და ამის საფუძველზე სახელმწიფო ბანკიდან ხელფასის ანგარიშზე 42 000 მანეთი გამოიტანა.

● **საქართველოს** უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო საწარმოს „ფონიჭალის“ საყოფაცხოვრებო ქიმიის საამქროდან და მზა ნაწარმის საწყობიდან ფიქციური ზედდებულების საშუალებით უნდოდათ უნივერმაღ „თბილისში“ სარეალიზაციოდ შეეტანათ 8157 მანეთის 10530 ცალი მათეთრებლის და პერილის ფხვნილი. კომბინაციაში ეჭვმიტანილი არიან საყოფაცხოვრებო ქიმიის საამქროს ბრიგადირი ბიძინა ლაბაძე, მზა ნაწარმის საწყობის გამგე გერმანე დავითაშვილი, მთავარი ბუღალტერი ომარ ქაჯაია, სასწავლო საწარმოს დირექტორის მოადგილე ეფრემ გიგაანი და მზა პროდუქციის საწყობის ბუღალტერი ირინე მაისურაძე. საყოფაცხოვრებო ქიმიის საამქროში აღმოჩნდა არაოფიციალური მკაცრი აღრიცხვის რვა დავთარი, რომლის საშუალებითაც წარმოებდა აღურიცხავი პროდუქციის გატანა და რეალიზაცია.

● **ჰიათურის** ზონის რაიკოოპერატივის სოფელ გუნდაეთის მაღაზიას ღამის პირველ საათზე ცეცხლი გაუჩნდა. სავაჭრო დარბაზი და სასაქონლო-მატერიალური ღირებულება მთლიანად დაიწვა. ზარალს 14853 მანეთს ვარაუდობენ. ხანძრის გაჩენის მიზეზს ირკვევენ.

ᲡᲐᲛᲘᲜᲚᲝ

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, მაღალმთიანეთში ზვავი, აღმოსავლეთის ქარი 9-14, ზოგან 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით 10-15, დღისით 23-28, ზღვისპირეთში — 18-23, მთაში — ღამით 6-11, დღისით 21-26, მაღალმთიანეთში — ღამით 2-7, დღისით 12-17 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში: ცვლადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა, ელჭექი, ტემპერატურა — ბარში ღამით 6-11, დღისით 19-24, მთაში — ღამით 2-7, დღისით 13-18, მაღალმთიანეთში — ღამით მინუს 3-პლუს 2, დღისით 11-16 გრადუსი.

თბილისში მშრალი ამინდი, ტემპერატურა ღამით 9-11, დღისით 22-24 გრადუსი სითბო.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ

(„კომუნისტის“ საკ. კორ. ტელეფონით). 5 აპრილს საოლქო გაზეთებში „აფსნი ყაფშაში“, „საბჭოთა აფხაზეთსა“ და „სოვეტსკაია აფხაზიაში“ გამოქვეყნდა აფხაზეთის ცნობილი ადამიანების — მეცნიერების, მწერლების, ხელოვნების და კულტურის მუშაკთა, მშრომელების მიმართვა ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მოქალაქისადმი. მიმართვას ხელს აწერენ: ბივი აიბა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ბაკიბეი აიბა — გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი; ვლადიზლავ არძინბა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი; ალეკო გვარამია — აფხაზეთის ა. ს. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; დავით გოგობერიშვილი — გუდაუთის რაიონის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; მოგელი ზუხბაია — გალის რაიონის სოფელ ოქუზის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; ვალვა ინალ-იფა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; ბორის ლაკინი — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; მიხეილ მურატოვი — 1918 წლიდან სკკპ წევრი; რევაზ სალუქვაძე — სოხუმის აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი; ნიკიფორე უსოვი — დოსაფის

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

4 **აპრილს** თბილისში გაიმართა ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა ხალხმრავალი უსანქციო მსვლელობა, რომელიც გადაიზარდა მიტინგში მთავრობის სახლთან. შეკრებილებმა შეშფოთება გამოთქვეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით.

5 აპრილს მიტინგი გრძელდებოდა.

ᲡᲐᲛᲝᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲠᲘᲑᲘᲢᲐ

● **პადრაძი.** ბარსელონაში გრძელდება მსოფლიო თასის გათამაშების მეოთხე ტურნირი. 5 ტურის შემდეგ 4 ქულით დაწინაურდა იუგოსლავი დიდოსტატი ლიუბომირ ლიუბოიევიჩი, რომელიც მეხუთე ტურში უაიმზე შეუთანხმდა პრედრაგ ნიკოლიჩს (იუგოსლავია). 3 ქულა მოაგროვა არტურ იუსუპოვმა, რომელიც ამ ტურში ისვენებდა. პირველი გამარჯვება მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა. მან შავებით მოუგო ვიქტორ კორჩნოის (შვეიცარია) და ახლა 2 ქულა აქვს. დაბავდნენ ჯონათან სპილმენი (დიდი ბრიტანეთი) — რაფაელ ვაჰანიანი, რობერტ პიუბნერი (გფრ) — მიგელ �ილესახი (ესპანეთი), ალექსანდრე ბელიავსკი — ვალერი სალოვი, იასერ სეირავანი (აშშ) — ზოლტან რიბლი (უნგრეთი). ნაიჯელ შორტისა (დიდი ბრიტანეთი) და ხუსუბნერი (გფრ) — მიგელ ილესკასი (ესპანეთი), ალექსანდრე ბელიავსკი — ვალერი სალოვი, იასერ სეირავანი (აშშ) — ზოლტან რიბლი (უნგრეთი). ნაიჯელ შორტისა (დიდი ბრიტანეთი) და ხუსუბნერი (გფრ) — მიგელ ილესკასი (ესპანეთი), ალექსანდრე ბელიავსკი — ვალერი სალოვი, იასერ სეირავანი (აშშ) — ზოლტან რიბლი (უნგრეთი). ნაიჯელ შორტისა (დიდი ბ